# საქართველოს კანონი

## საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის $64^2$ მუხლი:

**„მუხლი $64^2$. ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის დაზიანება**

1. ქარსაფარ (მინდორდაცვით) ზოლში მერქნიანი მცენარის (ხის) დაზიანება, რამაც შეიძლება მისი ზრდის შეწყვეტა გამოიწვიოს, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

3. ქარსაფარ (მინდორდაცვით) ზოლში ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.“.

2. $209^3$ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ ამ კოდექსის $55^5$, $55^6$, $64^2$, $77^1$, $77^2$ და 103-ე მუხლებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134-ე–$135^5$ მუხლებით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, $150^2$ და $150^3$ მუხლებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და $151^1$, $151^2$, $152^3$–$152^9$, $153^9$, $156^1$, $158^3$ და $158^4$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას სამართალდამრღვევის იდენტიფიცირებისთვის ან სხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენისთვის ადმინისტრაციული წარმოება საჭირო არ არის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი ამ კოდექსის $290^6$ მუხლის გათვალისწინებით ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას).

4. ამ კოდექსის $55^5$, $55^6$, $64^2$, $77^1$, $77^2$, 103-ე და $107^4$ მუხლებით, $114^2$ მუხლის მე-6 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, $125^3$ მუხლის მე-4–$5^1$ ნაწილებით, $125^4$ მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134-ე–$135^5$ და $146^1$ მუხლებით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, $150^2$ და $150^3$ მუხლებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, $151^1$, $151^2$ და $152^3$–$152^9$ მუხლებით, $153^6$ მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებითა და $153^9$, $158^3$ და $158^4$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, ამ კოდექსის $290^6$ მუხლის გათვალისწინებით, საჩივარს იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი პირი.“.

3. 239-ე მუხლის 27-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„27. ამ კოდექსის $55^5$, $55^6$, $64^2$, $77^1$, $77^2$, $107^2$ და $107^3$ მუხლებით, 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-16 ნაწილებით, $125^2$–$125^4$ მუხლებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134-ე–$135^5$, $146^1$, $150^1$–$150^3$, $151^1$ და $152^2$–$152^9$ მუხლებით, $153^6$ მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებითა და $153^9$, $156^1$, $158^3$ და $158^4$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს, ამ კოდექსის $290^6$ მუხლის გათვალისწინებით, ადგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

**საქართველოს პრეზიდენტი** **სალომე ზურაბიშვილი**

**თბილისი,**

**2 ნოემბერი 2021 წ.**

**N969-VIმს-Xმპ**